ISSN 1512-2018

UDC: 781.8

მუსიკალური მისტიფიკაციის სხვა მხარე: პითაგორას ჩაქუჩები და მისი კავშირები აღმოსავლეთთან

პატრიკ ჰუანგი
University of Western Ontario, 1151 Richmond St, London ON, Canada

ანოტაცია:
პითაგორას ჩაქუჩი ძვ. წ-ით II საუკუნეში ნიკომაქეს მიერ მოთხრობილი ცნობილი მითია მუსიკის თეორიის აღმოჩენის შესახებ. ისტორია მოგვითხრობს, თუ როგორ აღმოაჩინა პითაგორამ მუსიკალური წყობის თეორია მჭედლის მიერ სხვადასხვა ჩაქუჩით გამოცემული ბგერების მოსმენისას. ეს თეორია აშკარად არამეცნიერულია, ვინაიდან ის არ შეესაბამება აკუსტიკის პრინციპებს. ყოველ შემთხვევაში, პითაგორას სკოლამ მუსიკის თეორია მონოქორდების საშუალებით შეიმუშავა. ამდენად, თანამედროვე აკადემია თანმიმდევრულად უარყოფს ნიკომახეს, როგორც არამცოდნე თეორეტიკოსს.
თუმცა, მუსიკის თეორიის აღმოჩენის გაცილებით ადრეული ვერსიის კვალს მივყავართ ორი ღვთაების შერწყმით შექმნილ დედოფალ კიბელეს მითთან, რომლის ეკვივალენტი ხეთურ მითოლოგიაში არის კუმბალა. მისი ეტიმოლოგია, შესაძლოა, უკავშირდებოდეს სიტყვას კუბა ანუ კუბი, რაც, სავარაუდოდ, მიანიშნებს უძველეს დროში ახლო აღმოსავლეთში გავრცელებულ მეტეორიტების თაყვანისცემის პრაქტიკაზე.
მოხსენებაში მოკლედ არის განმარტებული ისტორია პითაგორას ჩაქუჩისა, რომელიც შედარებულია რეა კიბელეს მითთან და სხვა შესაბამის ფაქტებთან, რათა თვალი მივადევნოთ მის ვარიანტებსა და გავრცელების გზას. უფრო მეტიც, გადაფასებულია აღმოსავლური გავლენის რამდენიმე მაგალითი ძველ საბერძნეთში, როგორიცაა, რევოლუციის ორიენტალიზაცია და ანატოლიური ინტერფეისები, პითაგორას ჩაქუჩზე მონათხრობთან მათი შესატყვისობის შეფასების მიზნით.

საკვანძო სიტყვები: *პითაგორა, მუსიკალური მითოლოგია, ძველი ბერძნული მუსიკა, მუსიკის თეორიის ისტორია*

1. შესავალი

დასავლური მუსიკის თეორიის საფუძვლები ანტიკური საბერძნეთის პერიოდიდან მომდინარეობს, სადაც პითაგორულმა სკოლამ მუსიკალურ ინტერვალებსა და მათემატიკურ რაციოს შორის მჭიდრო კავშირი აღმოაჩინა. მაშინ როცა პითაგორას, როგორც რეალურად არსებულ პიროვნებასა და პითაგორას დოქტრინას წარმომავლობის გარშემო გარკვეული წინააღმდეგობრიობა არსებობს, საყოველთაოდ გაზიარებული აზრია, რომ პითაგორამ და მისმა მოსწავლეებმა ანტიკური საბერძნეთის მუსიკის თეორიზაციის უძველესი წყარო შექმნეს, რასაც თავად სხვა ბერძენი მკვლევრებიც მიმართავდნენ ხოლმე.

თუმცა წლების მანძილზე მკვლევრები არ ყოფილან ყოველთვის სკურპულოზური გამოყენებული წყაროების მიმართ და აკადემიური ლიტერატურის წყაროდ

ISSN 1512-2018
დროდადრო მიმართავდნენ ისეთ ფოლკლორულ ლიტერატურას, როგორიცაა ზღაპრები, მითები და პოემები, რამაც, შესაძლოა, განაპირობა კიდეც გარკვეული საეჭვო დასკვნები. ერთ-ერთი მათგანი უკავშირდება პითაგორას ჩაქუჩების ცნობილ ისტორიას, რომელიც მეცნიერულად საეჭვოა და სანდო წყაროდ აღიარებამდე დამატებით შემოწმებას საჭიროებს.

მეორე მხრივ, მიუხედავად იმისა, რომ პითაგორას ჩაქუჩებზე ნაამბობი არ დასტურდება აკუსტიკის კანონების თვალთახედვიდან, ის შეიძლება ასახული იყოს სხვადასხვა აღმოსავლურ ფოლკლორულ ზღაპარში, რომლებიც არა მხოლოდ მითოლოგიის შესწავლისთვის მაღალი ღირებულებით ხასიათდებიან, არამედ ასევე ძველ-ბერძნულ მუსიკაზე ახლო-აღმოსავლეთის გავლენის უნიკალურ მტკიცებულებასაც წარმოადგენენ.

მეცნიერებებისა და მითის შეპირისპირებიდან დაწყებული, მოხსენების მთავარი მიზანია პითაგორას ჩაქუჩების ისტორიის ნამდვილობის დამტკიცება და ხეთურ და ბაბილონურ მითოლოგიაში მისი შესაძლო ვარიაციების გამოვლენა იმისათვის, რომ ძველბერძნულ მუსიკაზე ორიენტალური გავლენის არსებობა გამოიკვეთოს.

2. მითი პითაგორას ჩაქუჩების შესახებ

2.1. უძველესი კავშირი

როგორც პითაგორასთან ასოცირებული და გაღვთიურების პროცესში არსებული მითი, პითაგორას ჩაქუჩების ისტორია ზემოხსენებულ კატეგორიაში ერთიანდება და მითოლოგიური გავრცელების წესებს სრულად მისდევს. გაღვთიურების შუალედურ საფეხურზე ტექსტუალური მტკიცებულებების მნიშვნელოვნად დაკარგვის გამო, თანამედროვე მეცნიერებისათვის დღეს ძალიან ცოტა რამაა ცნობილი. პითაგორას მიერ მუსიკალური ინტერვალების აღმოჩენის შესახებ არსებული უძველესი ტექსტობრივი მტკიცებულება ქსენოკრატეს ეკუთვნის, პორფირის პტოლემეუსის ჰარმონიის კომენტარებში. ამ ვერსიაში მხოლოდ მუსიკალური ინტერვალის შესახებაა საუბარი, ჩაქუჩების შესახებ ყოველგვარი ისტორიის აღწერის გარეშე [1].

ეს ცნობა პორფირის მოხმობილი აქვს ჰერაკლიდესისგან, დაახლოებით მისი თანამედროვე მეცნიერისგან. აღნიშნული ცნობების შეჯამების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ პითაგორამ მუსიკალურ ინტერვალებს, ჰარმონიასა და რიცხვებს შორის ურთიერთკავშირი აღმოაჩინა, თუმცა იქ პითაგორას ჩაქუჩების შესახებ არანაირი ისტორია არაა ნახსენები. იმდენად რამდენადაც გამოსახულება მარტივი სტრუქტურისაა და გაღვთიურება არსადაა ნახსენები, ეს შეგვიძლია სანდო წყაროდ ჩავთვალოთ ჩვ.წ.-მდე მე-4 საუკუნის მეცნიერების თვალთახედვის ასახვის თვალსაზრისით.

2.2. როგორ განვითარდა ისტორია

პითაგორას ჩაქუჩების შესახებ არსებული პირველი წყარო ნიკომაციუსის ჰარმონიის გზამკვლევშია დაფიქსირებული:

ერთ დღეს ის (პითაგორა) ღრმა ფიქრებში იყო წასული და ცდილობდა გაეთვალა, შესაძლებელი იყო თუ არა ყურისთვის რაიმე ისეთივე უტყუარი და უშეცდომო ინსტრუმენტული დამხმარეს შექმნა, როგორიცაა მხედველობის ფლობისთვის კომპასი ან სახაზავი, ან შეხების ფლობისთვის ბალანსი ან საზომი ხელსაწო. ამ ფიქრებით მოსეირნე რაღაც სასწაულის ძალით სამჭედლოს მიუახლოვდა და ჩაქუჩების დარტყმის ხმა მოესმა, რომლებიც გრდემლზე რკინას აწრთობდნენ და ერთდროულად ჟღერისას ერთადერთი კომბინაციის გარდა, ჰარმონიულ ჟღერადობას გამოსცემდნენ. ამ

ISSN 1512-2018
ჟღერადობაში მან იცნო კონსონანსები ოქტავა, კვინტა და კვარტა. კვინტასა და კვარტას შორის არსებული ინტერვალი მეტად დისონანსურად ჟღერდა, თუმცა სხვამხრივ, ის თითქოს ავსებდა ამ ორ კონსონანსურ ინტერვალს. გახარებულმა პითაგორამ სამჭედლოს მიაშურა და მრავალი ექსპერიმენტის შედეგად აღმოაჩინა, რომ ჟღერადობებს შორის სხვაობას ჩაქუჩების წონა განსაზღვრავდა და არა მოქნევის ძალა, ჩაქუჩების ფორმა თუ რკინა, რომელზეც ჩაქუჩები ეცემოდა. ერთნაირი წონის მქონე ჩაქუჩების დარტყმით იდენტური შედეგის აღმოჩენისთანავე ის სახლისკენ გაეშურა [2].

როგორც ისტორიიდან ვიგებთ, მჭედლებით შთაგონებულმა პითაგორამ განაგრძო ექსპერიმენტების ჩატარება სხვადასხვა სიგრძის სიმების ჟღერადობების შედარების კუთხით [3]. რადგან ძველბერძნული ლირები დიდი ზეწოლის საშუალებით იწყობოდა, მან ეს მექანიზმი აიტაცა და შექმნა მონოქორდი [4] შემდგომი ექსპერიმენტების ჩასატარებლად. ამბის ეს ნაწილი აკადემიის ისტორიულ რეალობასთან საკმაოდ ახლოსაა საიმისოდ, რომ სარწმუნოდ ჩაითვალოს.

როგორც გამოსახულებიდან ვიგებთ, პითაგორა ძალზე ბრძენი ადამიანი იყო, თუმცა მისი ცოდნა მაინც „წმინდა ძალის მეოხებით" საჭიროებდა სამჭედლოდან ყოფილიყო ინსპირირებული. სხვა ლეგენდების მსგავსად, ნიკომაკუსის მიერ აღწერილი პითაგორას ჩაქუჩის ისტორია მაკრობიუსის და შუასაუკუნეების ცნობილი ფილოსოფოსის, ბოეთიუსის მიერ გადმოეცა თაობებს და სწორედ ამგვარად გახდა ცნობილი.

3. ორიენტალიზმისკენ მისწრაფების საწყისები

3.1. შედარებით ადრეული ვერსია

კვლევა ადასტურებს, რომ ამ მითის კიდევ უფრო ძველი ვერსიაც არსებობს. უძველესი ფრიგიული ქრონიკების მიხედვით, არსებობდა აზიური ქალ-ღვთაება რეან კიბელე, რომელსაც მსახურად ჰყავდა ხელობის ოსტატი დაქტილები. მუშაობის პროცესში გნომებმა აღმოაჩინეს, რომ მათი ჩაქუჩების გრდემლზე დარტყმისას სხვადასხვა სიმაღლის ბგერები გამოიცემოდა. სწორედ გნომების აღმოჩენამ განაპირობა შემდგომ ამ მოვლენისთვის მათემატიკური საფუძვლის შექმნა [5]. არსებობს უძველესი წყაროების ფრაგმენტები, რომლებიც ამ ლეგენდას ეხმიანება, მაგ. სოლინუსის ცნობა:

ამგვარად, მუსიკის კვლევა დაიწყო მაშინ, როცა იდეან დაქტილმა ჟღარუნით და წკარუნით საზომის ტრანსპონირება მოახდინა და ლექსების რიგში აღიარა ის [6].

მეორე მხრივ, პორფირმა აშკარად იცის ეს ისტორია, რადგან სწორედ მან დაწერა კრეტაში დაქტილებისა და ზევსისათვის პითაგორას პილიგრიმული მოგზაურობის შესახებ [7]. ასევე ფსევდო-პლუტარქეს ნეოპლატონიკური ნაშრომიდან, მუსიკის შესახებ, ირკვევა, რომ დაქტილები მჭიდროდ დაკავშირებული არიან მუსიკის შესავალთან [8].

3.2. რეა კიბელე და მისი ჰიბრიდულობა

ამ ისტორიის და მისი ადრეული ვარიანტების კვლევა საკმაოდ რთულია, რადგან რეა კიბელე ჰიბრიდული ღვთაებაა, რომელშიც ასიმილირებულია რეა და კიბელე. ბერძნებმა ისინი დაახლოებით ჩვ.წ.-მდე მე-6 საუკუნის შუაწლებში შეაერთეს, სავარაუდოდ, რიტუალებს შორის ნაპოვნი მსგავსების გამო [9].

რეა, თავდაპირველად, კუნძულ კრეტას ადგილობრივი დედა ქალ-ღვთაება იყო [10]. მისი სახელის ეტიმოლოგია მეტათეზაა ἔρα-ს, ანუ „მიწის" ან, სხვაგვარად, „დედამიწის" [11]. მაშინ როცა ტრადიციული აზროვნება მას უფრო ῥέω-ს, „დინებას" ან „გამონადენს" უკავშირებს [12]. სახელწოდება მომდინარეობს ბერძნულამდელი ან

ISSN 1512-2018
მინოანური ტრადიციიდან [13], რასაც შემდგომი კვლევა სჭირდება, რადგან ამჟამად ლინეარ ა და ბერძნულამდელი წყაროები ძალზე ცოტაა.

3.3. რეას მეორე სახე: კიბელე და მეტეორიტის თაყვანისცემა

კიბელე უძველეს საბერძნეთსა და რომში ძალზე მნიშვნელოვანი ღვთაება იყო, მაგრამ მას მკაფიოდ ფრიგიული ფესვები აქვს და ცნობილია, როგორც აზიური ქალ-ღვთაება. კიბელეს ადრეული ფორმა კუბაბა ან კუმბაბაა [14], ვინც უძველეს ხეთურ პანთეონს განეკუთვნებოდა, როგორც ნაყოფიერების ქალ-ღვთაება და ჩვ.წ.-მდე მე-13 საუკუნეში უკვე აღიარებული იყო [15]. კუმბაბას თაყვანისცემა, თავდაპირველად, კარჩემიშში დაიწყო, ევფრატის რეგიონთან ახლოს და თანდათან გადაინაცვლა დასავლეთისკენ [16].

მაშინ როცა არ არსებობს ზუსტი ცნობა იმისა, თუ როდის გაჩნდა ეს ტრადიცია, ზოგიერთ მეცნიერს მიაჩნია, რომ კუმბაბას გაჩენა დაკავშირებული უნდა იყოს ჩვ.წ.-მდე დაახლოებით 6000 წლის ჩათალჰოიუქის მჯდომარე ქალის ქანდაკებასთან [17]. რადგან ეს ქანდაკება, ზოგადად, აღწერს ნაყოფიერ დედა ქალ-ღვთაებას, რომელიც ორი ცხოველის წინ (სავარაუდოდ, ლეოპარდების) ზის [18]. თუმცა, ეს ჰიპოთეზა მხოლოდ ფუნქციურ მსგავსებაზეა დაყრდნობილი, რამდენადაც მეტი საფუძვლიანობისათვის ამის არანაირი მითოლოგიური ან ტექსტუალური დასტური არ არსებობს.

მაინც ცხადია კავშირი ნეოლითურ ტრადიციასთან. კუმბალას ეტიმოლოგიური საფუძველი შესაძლოა იყოს კუბე ან კუბა, რაც ნიშნავს კუბს, რომელიც მეტეორიტის თაყვანისცემასთან კავშირზე მიგვანიშნებს [19]. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ის მიანიშნებს, რომ კიბელეს მითი ახლო აღმოსავლეთის ისეთ ფოლკლორულ რელიგიასთანაა დაკავშირებული, როგორიცაა შავი ქვის თაყვანისცემა პეტრაში და ცნობილი მეტეორი ქვა მექაში, რომელიც იმ ხანგრძლივ და ფართოდ გავრცელებულ ტრადიციაში აღმოცენდა, რომელიც ისლამის წარმოშობამდე არსებობდა.

ამის იკონოგრაფიული მტკიცებულება გვიჩვენებს ნეოლოთურ ტრადიციას, იმდენად რამდენადაც სალოცავი / ხატი კუმბაბა ან კიბელე გამოქვაბულში ან კლდის ახლოს მდებარეობდა. კუმბაბას სახელწოდების ამსახველი ხუთი იდეოგრამის გარდა არსებობდა კუბის ფორმა, ორმხრივი ცული, მტრედი, თასი და კარი. ყველა მათგანი უკავშირდება ქალ-ღვთაებების არსებობას ნეოლითურ ევროპულ ტრადიციაში.

მეტეორიტის თაყვანისცემის ეს კონცეფცია მომდევნო პერიოდში პოულობს გამოძახილს, როდესაც ძველ-ბერძენი არისტოდემუსი ხელახლა გვითხრობს (პინდარეს კომენტარში) კიბელეს ოდას, რომელიც მეტეორის ჩამოვარდნასთანაა ასოცირებული [20]. მსგავსი აღწერები, როგორიცაა მაგალითად, არნობიუსის ჩანაწერები, ნაპოვნია უძველეს რომში [21].

აქვს კია მითის ამ ნაწილს მუსიკასთან რაიმე საერთო? წყაროების მიხედვით, კავშირები საკმაოდ ბუნდოვანია. რომაულ ვერსიაში კიბელეს თაყვანისცემის პროცესია თანხლებულია მრავალი ინსტრუმენტით, როგორიცაა ტიმპანი, ნახვრეტიანი ციმბალა, ხრინწიანი ჟღერადობის მქონე საყვირები და ნახვრეტიანი ტიბია. ბერძნები და ფრიგიელები ასევე თაყვანს სცემდნენ კიბელეს ინსტრუმენტების საშუალებით, მაგრამ განსხვავებული სახით [22]. მიანიშნებს თუ არა ეს იმას, რომ მუსიკალური აკომპანიმენტი საგანგებოდ, კიბელეს თაყვანისცემასთან იყოს დაკავშირებული? თუ ეს ზოგადად, გავრცელებული იყო რელიგიური თაყვანისცემის რიტუალებში? მუსიკოსებს შორის მდგომი ქალ-ღვთაება კიბელეს ქანდაკება უდაოდ ამჟღავნებს მუსიკასთან გარკვეულ კავშირს. არიან კი დედა ქალ-ღვთაების ფიგურაზე საგრძნობლად მომცრო ზომის მუსიკოსები დაკავშირებული დაქტილებთან?

ISSN 1512-2018

3.4. კუმბალა და ახლო აღმოსავლეთი: ეს თანამოსახელეა?

ხეთებთან კავშირის გარდა არსებობს ასევე მითები და ლეგენდები, რომლებიც კუმბალას ახლო აღმოსავლეთთან აკავშირებს. სახელი კუმბალა აკკადური ჰუმბაბას მსგავსია, რომელიც, თავისმხრივ, გილგამეშის ეპოსში კედარის ტყის მონსტრი მცველის, შუმერული ჰუვავას ექვივალენტს წარმოადგენს. მისი არსება სრულიად განსხვავებულია ქალღმერთ კიბელესგან, რომელიც, შესაძლოა, თანამოსახელეს აღნიშნავდეს.

ლუციანის ტრაქტატი სირიელი ქალღმერთის შესახებ, შესაძლოა, ამ საკითხისთვის სინათლის მომფენი იყოს. ტრაქტატი აღწერს კონკრეტულ კომბაბოს, რომელიც ეტიმოლოგიურად კუმბაბას მამრობითი კომპანიონია. ამ პერსონაჟებს შორის პოტენციური კავშირი არსებობს, რამდენადაც კომბაბო მცველია სტრატონისისა, რომელიც ფუნქციურად ჰუმბაბას დარია და ეს ყველაფერი კი ამ მითის გადაცემის პროცესში ჩამოყალიბებულ შესაძლო ვარიანტზე მეტყველებს [23].

მეორე შესაძლებელი ვერსია მოდის შუმერი მეფეების სიიდან, სადაც ქიშის მესამე დინასტიაში დედოფალი სახელად კუბაბა იყო მმართველი [24]. ზოგიერთი მეცნიერი აცხადებს, რომ შესაძლებელია, ქიშის დედოფალს თაყვანს სცემდნენ, როგორც ქარხემიშის სამეურვეო ღვთაებას, თუმცა ეს ასევე სხვა თანამოსახელე შეიძლება ყოფილიყო [25].

მეორე მხრივ, შესაძლოა, შუმერ დედოფალ კუბაბასთან კავშირის არმქონე კიდევ სხვა კუმბაბას ტრადიცია არსებულიყო. ლომებიანი და ლეოპარდებიანი ქანდაკების გარდა არსებობს ქვაში გამოკვეთილი მეორე იკონოგრაფიული სახე, რომელზეც ქალღმერთი პროფილშია გამოსახული და კუბის ფორმის ქუდი ახურავს, ჩვეულებრივ, ხელთ უპყრია მრგვალი საგანი (სავარაუდოდ, ბროწეული) და შტო, რომელიც კუმბაბას ატრიბუტი არ უნდა იყოს [26]. ანატოლიის გათხრების დროს ნაპოვნი იქნა მსგავსი ნიმუში, რომელიც მიგვითითებს დასკვნისკენ, რომ მეტეორების თაყვანისცემა და ცხოველებიანი ქალღმერთი სხვადასხვა რეგიონიდანაა, მაგრამ ისინი გარკვეული თვალსაზრისით დაკავშირებული არიან კუმბაბასთან და შემდეგ, ბერძნულ-რომაულ სამყაროში, კიბელესთან.

3.5. დაქტილებისა და იდას მთის საიდუმლოება

დაქტილების არსებობა, რომლებიც მითოლოგიურად რეას მსახურებს წარმოადგენენ, ეტიმოლოგიურად „თითებს“ [27] უკავშირდება. ამ ლეგენდის დეტალები დროის სხვადასხვა მონაკვეთში თანდათან დაიხვეწა. არგონავტიკა, აპოლონიუსის მიერ დაწერილი ეპოსი აღწერს დაქტილებს, როგორც კრეტაზე მდებარე იდას მთის შვილებს და ამდენად, მოიხსენიებს მათ, როგორც იდაელ დაქტილებს [28].

რამდენი დაქტილი არსებობდა? ყველაზე გავრცელებული და ლიტერატურული წყაროების მიხედვით, სწორი პასუხია ათი, რადგან მიიჩნეოდა, რომ რეამ მიწაზე დაჭერით ათი თითი გამოსახა, რომელთაგან მარცხენა ხელიდან მდედრობითი სქესის, ხოლო მარჯვენადან მამრობითი სქესის დაქტილები წარმოიშვნენ [29]. სხვა ვერსია აღწერს მხოლოდ სამ დაქტილს, შესაძლოა, მათგან მხოლოდ სამ უფროსს - აკმონი (გრდემლი), ქელმიში (მდნობელი) და დამნამენეუსი (ჩაქუჩი)[30]. მართლაც, სამი დაქტილის ფუნქცია განასახიერებს მჭედელებს პითაგორას ჩაქუჩის მითში. ვოლტერ ბარკერტის აზრით, მითში აირეკლა რეალური კულტის ასოციაციები და დაქტილების ფუნქცია რეალურ ცხოვრებაში მჭედელთა გილდიაში [31] აისახა. უძველესი ხელნაწერების მიხედვით, ეს თეორია ნამდვილად შესაძლებელია, რადგან ჰესიოდის

ISSN 1512-2018
ნარატივების მიხედვით დაქტილებმა აღმოაჩინეს რკინის გამოჭედვის ტექნიკა [32].

ზემოაღნიშნული ჰიპოთეზის მსგავსად, რომ რეა პროტო-ბერძნული ან მინონური პერიოდიდან იყო, შესაძლოა, იდას მთის ამბავსაც იგივე თეორია მოერგოს. აღმოსავლეთ კრეტაზე არკალოჩორის გამოქვაბულის გათხრების შედეგად აღმოჩენილია ორი ცული. ორივეზე ამოჭედილია ლინეარული A შრიფტი იდამატე, რომელიც შესაძლოა, „დედა იდას“ ან „იდას მთის დედა ქალღმერთს“ ნიშნავდეს [33].

მიუხედავად აღმოჩენის ერთგვარი სპეკულატორული ხასიათისა, მნიშვნელოვანია გავიაზროთ რეა ისტორია, დაქტილები და იდას მთა, როგორც მინოანური საწყისის მქონე, რადგან ამით უფრო ზუსტი დროის განსაზღვრაა შესაძლებელი, რაც სამომავლო კვლევების მეტ ეფექტურობას განაპირობებს.

3.6. კიდევ ერთი პარალელური ტრადიცია?

ისევე როგორც ორივეს, რეასა და კიბელეს ტრადიციის კრეტაზე და შესაბამისად, ფრიგიაში არსებობა, ის ფაქტიც, რომ დაქტილებსაც იგივე წარმომავლობა აქვთ, გარკვეულად ამღვრევს წყალს. როგორც ეფორუსი აღწერდა:

„მაგრამ ზოგიერთი ისტორიკოსი და მათ შორის, ეფორუსი წერდა, რომ იდაეანური დაქტილები ფრიგიაში არსებულ იდას მთაზე დაიბადნენ და მიგდონის საშუალებით მიაღწიეს ევროპას“ [34].

ნამდვილად ასეა, არსებობდა სხვა იდას მთაც ჩრდილო-დასავლეთ ანატოლიაში, რომელიც ასევე წმინდა მთას წარმოადგენდა ფრიგიელი ხალხისთვის და სწორედ ამ მთასთანაა დაკავშირებული კიბელე [35] და დაქტილები. ილიადაში ზევსი გაეშურა მთა იდაზე, რომ ტროას ომისათვის ეყურებინა და რამდენადაც ტროას აკროპოლისი ჩრდილო-დასავლეთ ანატოლიაში მდებარეობდა [36], მართებულია ვივარაუდოთ, რომ განსახილველი მთა სწორედ ფრიგიული იდას მთა იყო. ამდენად, ცხადია, რომ ორი მთა იდა საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში კონცეპტუალურად თანაარსებობდა და ფუნქციურად ფარავდა ერთმანეთს. უძველესმა მეცნიერებმა, რა თქმა უნდა, უკვე შენიშნეს ეს ამბავი და ეცადნენ განესხვავებინათ ისინი ერთმანეთისაგან, ისევე როგორც ეს დიდმა ისტორიკოსმა სტრაბონმა სცადა [37].

საინტერესოა, ეს ქრონოლოგიურად მოხდა თუ არა. სავარაუდოდ, ასე იქნებოდა, რადგან გარკვეული წყაროები აღწერენ, რომ დაქტილები დაიბადნენ და დასახლდნენ ფრიგიულ იდას მთაზე [38], ამდენად, შესაძლებელია რომ ლეგენდა ერთი საერთო ფესვებიდან მომდინარეობდეს, მაგრამ ორივე მთა იდაზე სხვადასხვა პერიოდში იყოს გავრცელებული. კიდევ ერთი საინტერესო წყარო ალექსანდრიელ კლემენტის ეკუთვნის, რომელმაც საკუთარ ნაშრომში სტრომატა დაწერა:

„კელმისი და დამნანეუსი, იდაეანური დაქტილი, პირველად აღმოჩენილი რკინა კვიპროსში“ [39].

ყოველივე ზემოთქმულზე დაყრდნობით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ დაქტილებმა თავდაპირველად, რკინა არა ფრიგიულ იდაზე, არამედ კვიპროსის კუნძულზე აღმოაჩინეს, რაც შემდგომში გაერთიანდა კრეტას მთა იდასთან [40].

მიუხედავად იმისა, რომ შედარებით გვიანდელი წყაროა, ეს ისტორიული ფაქტის საფუძველს წარმოადგენს - ხეთები ცნობილი იყვნენ რკინის გამოწრთობი დახვეწილი ტრადიციით, ჯერ კიდევ ჩვ.წ-მდე 2000 წლის წინ [41], ასე რომ სიმპტომატურია დაქტილების მითი ხეთების რეგიონში (ე.ი. ანატოლიაში) რკინის გამოწრთობის ტრადიციის განვითარებასა და აყვავებას რომ უკავშირდება. შესაბამისად, კრეტა შედარებით გვიანდელია რკინის წარმოების მიმართულებით და “მეტალის უძველესი დამუშავების თვალსაზრისით რაიმე ნაკვალევი ნაკლებად შემოგვინახა’ [42]. ამდენად,

ISSN 1512-2018
დასაშვები ვერსიაა, რომ კრეტული მითოლოგია მოგვიანებით შეიქმნა, თუმცა სწრაფად განავითარა მისი მახასიათებლები.

4. უძველესი მითების ხელახალი ქრონოლოგიური განლაგება

პითაგორული ჩაქუჩების წინაპირობა ძალიან რთული დასადგენია, რადგან როგორც ჩანს, დროის ამ უზარმაზარ მონაკვეთში მითოლოგიურმა კონტექსტმა მრავალი ცვლილება განიცადა. მეტიც, მითებს ახასიათებს „ვარაუდები“ და სხვა მსგავს ამბებთან შერწყმა. იგივე ამბავმა, შესაძლოა, სრულიად სხვა ღვთაების კონტექსტშიც კი გადაინაცვლოს. ამგვარად, მითს რეა კიბელესა და დაქტილებზე, შესაძლოა, ახლო აღმოსავლეთისა და ხეთების მრავალ ფოლკლორულ ზღაპარში მოეძებნოს წინაპარი. ამის დასტურისც არსებობს: ჩათალჰოიუქის მჯდომიარე ქალი და რომაული კიბელე, შესაძლოა, დედამიწის ნაყოფიერების ქალღმერთს აღნიშნავდეს. კუმბაბა, შესაძლოა, მეტეორის თაყვანისცემის ნეოლითური ტრადიციის კონტექსტში იყოს წარმოშობილი და განვითარებული, მაშინ როცა დაქტილები უფრო მეტად დაკავშირებული არიან რკინის ხანის ტრადიციასთან, მაგრამ ისინი უფრო შედარებითი არიან, ვიდრე აბსოლუტურ კატეგორიაში მყოფნი. სავარაუდოა, რომ მთელი მითი ამ ტრადიციებითაა გამდიდრებული, ნეოლითური ქვის წარმოებიდან რკინის გამოდნობაზე გადასვლის მომენტში ჩაისახა და სწორედ აქედან მოდის მუსიკალური ჩაქუჩების ისტორიაც.

შესაძლებელია, მითი რეა კიბელეზე ანატოლიის გავლით გაჰყვა გადაცემის / ტრანსმისიის გზას, რაც აისახა კიდეც რკინის გამოჭედვის დახვეწილ უნარებსა და ფრიგიული ღვთაებების მრავალი ვარიანტის გაჩენაში, ყველაფერი ეს კი ხეთების რეგიონში მოხდა.

გარდა ამისა, შეგვიძლია კია მუსიკალური მითის გადაცემა / ტრანსმისია მუსიკალური თეორიის გადაცემას დავუკავშიროთ? მითოლოგია ძვირფასი წყაროა, რომელიც ანტიკური პერიოდის ცხოვრებას აირეკლავს, თუმცა გარკვეული გაბუქებისა და ფანტაზიის ელემენტებით. ამდენად, გარკვეული თვალსაზრისით, მითოლოგიაში მუსიკალური წყარო პარალელს ავლებს მუსიკალური თეორიის გადაცემაზე / ტრანსმისიაზე. თუმცა ამ შემთხვევაში, ეს შეიძლება სარისკო დასკვნა იყოს: მიუხედავად იმისა, რომ მესოპოტამიასა და საბერძნეთში შედარებით მდიდარი მუსიკალური თეორიის არსებობის შესახებ ტექსტუალური მტკიცებულებები არსებობს, ხეთების წყაროების შემთხვევაში ეს პირიქითაა, რაც ჩვენი ზემოაღნიშნული მითოლოგიური მოდელის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილს წარმოადგენს. მტკიცებულებების სიმწირე მიგვითითებს, რომ ორიენტალიზების რევოლუციის მოდელი საკმაოდ დამაჯერებელია, რადგან მუსიკალური სისტემები უძველესი ახლო-აღმოსავლეთიდან უძველეს საბერძნეთში შესაძლოა ხმელთაშუაზღვის მრავალრიცხოვანი კუნძულების საშუალებით გავრცელებულიყო.

ამასთანავე, საჭიროა მეტი არქეოლოგიური მტკიცებულების არსებობა, რათა შედარებითი კვლევის წარმოება შევძლოთ. თეორიულად, მუსიკალურ ინტერვალებსა და ჩაქუჩებიანი ინსტრუმენტების ზომებს შორის ურთიერთკავშირის დამყარება სრულიად შესაძლებელია, მაგრამ ასეც რომ იყოს, რა პერიოდში მოხდებოდა ეს? თუ ეს ნეოლითური ტრადიციაა, შესაძლებელი უნდა იყოს გარკვეული ლითოფონი ინსტრუმენტების არქეოლოგიური ნაკვალევის აღმოჩენა. თუ მეტალურგიის განვითარება რელევანტურია, ისეთი სტატისტიკა, როგორიცაა ფოლადის გამოწრთობის ადგილები და მეტალის გასაყიდი სავაჭრო გზები [43] ეფექტური წყარო შეიძლება იყოს.

თარგმნა თეონა ლომსაძემ

ISSN 1512-2018

მადლიერებები

This paper is based on my presentation at the International Conference "Music in the Context of Culture: Dedicated to the 90th Anniversary from the Birth and 35th Anniversary from the Death of Givi Orjonikidze", held in 2 – 4 December 2019 at Vano Sarajishvili Tbilisi State Conservatoire. First and foremost, I wish to express my sincere gratitude to Dr. Teona Lomsadze for her kind help and great effort on translating my manuscript into Georgian language, or otherwise it would be impossible for me to contribute anything into the academia in Georgia. In addition, I would like to extend my appreciation to the organisers of the conference, especially Prof. Rusudan Tsurtsumia; her meticulous planning of the conference makes it a truly unforgettable experience to all of us.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. See Raffa, M. *Commentarius in Claudii Ptolemaei Harmonica*. Berlin / Boston, MA: Walter de Gruyter GmbH, 2016, p.36. For translated text, see Guthrie, W. K. C. *A History of Greek Philosophy: Vol. 1 The Earlier Presocratics and the Pythagoreans*. Cambridge: Cambridge University Press. 1962, p.222, an alternative translation in German is provided by Düring, I. *Ptolemaios und Porphyrios über die Musik*. Hildesheim: Georg Olms Verlag, 1934, p.31.
2. See Janus, C. *Musici Scriptores Graeci: Aristoteles, Euclides, Nicomachus, Bacchius, Gaudentius, Alypius et melodiarum veterum quidquid exstat*. Leipzig: In Aedibus BG Teubneri, 1895, p.246. For translated text, see Levin, F. R. Nicomachus of Gerasa 'Manual of Harmonics': Translation and Commentary. PhD Dissertation, New York, NY, Colombia University, 1967, pp.28-29; or Barker, A. *Greek Musical Writings: Volume 2, Harmonic and Acoustic Theory*. Cambridge: Cambridge University Press, 1989, pp.256-257.
3. Anderson, G. H. 'Pythagoras and the Origin of Music Theory'. *Indiana Theory Review*, 1983, 6(3), p.58.
4. Werner, E. *The sacred bridge: the interdependence of liturgy and music in synagogue and church during the first millennium*. Brooklyn, NY: KTAV Publishing House, 1959, p.376.
5. Ibid, pp.376-377.
6. In Solinus' Polyhistor, cpt.11. For edited text, see Mommsen, C. *Iulii Solini, Collectanea Rerum Memorabilium*. Berlin: In Aedibus Friderici Nicolai, 1864, p.81. The translated text is available in Pierce, L. & Pierce, M. *Newton Revised History of Ancient Kingdoms: A Complete Chronology*. Green Forest, AR: New Leaf Publishing Group, 2009, p.56
7. Werner, E. 'The oldest sources of octave and octoechos'. *Acta Musicologica*, 1948, vol.20, p.2. For relevant text, see Nauck, A. *Porphyrii philosophi Platonici opuscula selecta*. Leipzig: In Aedibus BG Teubneri, 1886, p.25. A translation is provided by Guthrie, K. S. & Fideler, D. R. *The Pythagorean sourcebook and library: an anthology of ancient writings which relate to Pythagoras and Pythagorean philosophy*. Grand Rapids, MI: Phanes Press, 1987, p.126.
8. Anderson, G. H. 'Pythagoras and the Origin of Music Theory'. *Indiana Theory Review*, 1983 6(3), p.60. The original text is edited and translated by Bromby, J. H. *The Περι Μουσικης of Plutarch*. London: Press of C. Whittingham, 1822, pp.14-15.
9. Bøgh, B. 'The Phrygian background of Kybele'. *Numen*, 2007, 54(3), p.317.
10. Case, J. 'Cretan excavations'. *The Classical Review*, 1908, 22(3), p.77 and Al, B. 'Cretan religion in relation to Greek religion'. *Mnemosyne*, 1944, vol.12, pp.208-222.
11. Graves, R. *The Greek Myths, Volume One*. London: Penguin, 1955, p.43.
12. Hopkinson, N. 'Rhea in Callimachus' Hymn to Zeus'. *The Journal of Hellenic Studies*, 1984, vol.104, p.176.
13. See Nilsson, M. P. *The Minoan-Mycenaean religion and its survival in Greek religion*. New York, NY: Biblo & Tannen Publishers, 1971, p.536 and Prent, M. *Cretan sanctuaries and*

ISSN 1512-2018
cults: continuity and change from Late Minoan IIIC to the Archaic period. Leiden: Brill, 2005, p.261.
14. Laroche, E. 'Koubaba, déesse anatolienne, et le problème des origines de Cybèle'. In book: *Éléments orientaux dans la religion grecque ancienne: Colloque de Strasbourg, 22-24 mai 1958*. Under edition of Centre d'Études supérieures spécialisé d'histoire des religions de Strasbourg. Paris: Presses Universitaires de France, 1960, pp.113-128.
15. Idem [4], p.377.
16. Baring, A. & Cashford, J. *The myth of the goddess: Evolution of an image*. London: Penguin UK, 1993, pp.395-396.
17. Burkert, W. *Homo necans: The anthropology of ancient Greek sacrificial ritual and myth*. Berkeley, CA: University of California Press, 1983, p.79.
18. Takács, S. A. 'Magna Deum Mater Idaea, Cybele, and Catullus' Attis'. In book: *Cybele, Attis and Related Cults*. Under edition of Lane, E. N. Brill: Leiden, 1996, p.376.
19. Vermaseren, M. J. *Cybele and Attis: the Myth and the Cult*. London: Thames and Hudson, 1977, p.22
20. Cook, A. B. *Zeus, A Study in Ancient Religion, Volume III: Zeus God of the Dark Sky (Earthquakes, Clouds, Wind, Dew, Rain, Meteorites), Part 1: Text and Notes*. Cambridge: Cambridge University Press, 1940, pp.893-894
21. In Arnobius, Adversus nations, Book 7: 49. Edited by Reifferscheid, A. *Arnobii Adversus nationes libri VII*. Vienna: C. Geroldi, 1875, p.263., translated by Bryce, H. & Campbell, H. *The Seven Books of Arnobius Adversus Gentes*. Edinburgh: T. & T. Clark. 1871, pp.361-362.
22. Summers, K. 'Lucretius' Roman Cybele'. In book: *Cybele, Attis and Related Cult*. Under edition of Lane, E. B. Brill: Leiden, 1996, pp.358-361.
23. Lightfoot, J. L. *Lucian on the Syrian goddess*. Oxford: Oxford University Press, 2003, p.392.
24. Shaffer, A. 'Gilgamesh, the Cedar Forest and Mesopotamian History'. *Journal of the American Oriental Society*, 1983, 103(1), p.312. Note that Shaffer's article had discussed the overlap of eras between the Epic of Gilgamesh and the queen Kubaba, which suggests the coexistence of two separate traditions.
25. Srinivasan, L. *Desi Words Speak of the Past: Indo-Aryans in the Ancient Near East*. Bloomington, IN: Author House, 2011, p.477, and van Loon, M. N. *Anatolia in the second millennium BC*. Leiden: Brill, 1985, p.9.
26. Marchetti, N. & Peker, H. 'The Stele of Kubaba by Kamani and the Kings of Karkemish in the 9th Century BC'. *Zeitschrift für Assyriologie und vorderasiatische Archäologie*, 2018, 108(1), p.90.
27. Beekes, R. & van Beek, L. *Etymological dictionary of Greek (2 vols.)*. Leiden: Brill, 2010, p.300.
28. From Apollonius, Argonautica, Book 1: 1129-1131., Edited and translated by Race, W. H. *Apollonius Rhodius, Argonautica (Loeb Classical Library 1)*. Cambridge, MA: Harvard University Press, 2008, p.92., another translation is provided by Seaton, R. C. *Apollonius Rhodius: the Argonautica*. London: William Heinemann, 1930, p.81.
29. Idem [11], p.185.
30. Bane, T. *Encyclopedia of Fairies in World Folklore and Mythology*. Jefferson, NC: McFarland, 2013, p.94.
31. Burkert, W. *Greek religion*. Cambridge, MA: Harvard University Press, 1985, p.173. Besides, it is also observable that the myth of Dactyls is frequently related to metallurgy, see descriptions by Blakely, S. *Myth, ritual and metallurgy in ancient Greece and recent Africa*. Cambridge: Cambridge University Press, 2006, pp.13-14., and Blakely, S. 'Pherekydes' Daktyloi. Ritual, technology, and the Presocratic perspective'. *Kernos: Revue internationale et pluridisciplinaire de religion grecque antique*, 2007, vol.20, 1-14.

ISSN 1512-2018
32. Pliny the Elder, Natural History, Book 7: 56.3. See Evelyn-White, H. G. *Hesiod, The Homeric Hymns and Homerica (Loeb Classical Library 496)*. London / New York, NY: William Heinemann and G. P. Putnam's Sons, 1920, pp.76-77. The original passage in Hesiod has not survived.
33. Serafimov, P. & Tomezzoli, G. 'New Reading of the Linear A Inscription on the Golden Pin CR-ZF-1 from Crete'. In book: *Proceedings of the Tenth International Topical Conference Origin of Europeans*. Under edition of Vodopivec, V. Ljubljana: Založništvo Jutro, 2012, p.86., and Janke, R. V. & Solcà, A. *High Correlation Linear A – Linear B vocabulary, grammar and orthography in Linear A*. Ottawa / Athens: Les Éditions KONOSO Press, 2018, p.9., respectively.
34. See Diodorus, The Library of History, Book 5, 64., Edited and translated by Oldfather, C. H. *Diodorus Siculus: Library of History, Volume I (Loeb Classical Library 279)*. Cambridge, MA: Harvard University Press, 1933, pp.270-271.
35. Schnusenberg, C. *The mythological traditions of liturgical drama: The Eucharist as theater*. Mahwah, NJ: Paulist Press, 2010, p.191.
36. Winkler, M. M. *Troy: from Homer's Iliad to Hollywood epic*. New York, NY: John Wiley & Sons, 2009, p.51.
37. Strabo, Geography, Book 10, Chapter 3.20., Edited & translated by Jones, H. L. *Strabo, Geography Volume V, Book 10-12 (Loeb Classical Library 211)*. Cambridge, MA: Harvard University Press, 1928, pp.112-113.
38. Larcher, P. H. *Notes on Herodotus: Historical and Critical Remarks on the Nine Books of the History of Herodotus, with a Chronological Table (Vol. 1)*. London: Whittaker & Co, 1844, p.23, and also in idem [11], p.185.
39. Clement of Alexandria, Stromata, 1.16.75., Edited by Müllerus, C. *Fragmenta Historicorum Graecorum: Collegit, Disposuit, Notis et Pro legomenis Illustraruit, Volumen Quartum*. Paris: Editore Ambrosio Firmin Didot, 1868, p.490., a translation is provided by Wilson, W. *The Writings of Clement of Alexandria*. Edinburgh: T. & T. Clark, 1867, p.401.
40. Smith, W. *Dictionary of Greek and Roman Biography and Mythology, Vol. I: Abaeus – Dysponteus*. London: John Murray, 1861, p.926.
41. Wertime, T. A. 'The beginnings of metallurgy: A new look: Arguments over diffusion and independent inven-tion ignore the complex metallurgic crafts leading to iron'. *Science*, 1973, 182(4115), p.875., and for more details, see Siegelová, J. & Tsumoto, H. 'Metals and metallurgy in Hittite Anatolia'. In book: *Insights into Hittite History and Archaeology*. Under edition of Genz, H. & Mielke, D. P. Leuven: Peeters, 2011, pp.275-300.
42. Idem [40], p.926.
43. Rosińska-Balik, K., Ochał-Czarnowicz, A., Czarnowicz, M., & Dębowska-Ludwin, J. *Copper and Trade in the South–Eastern Mediterranean: Trade routes of the Near East in Antiquity*. Oxford: Archaeopress, 2015.

Article received: 2024-08-19